



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №11
 2015 წლის 30 იანვარი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 ივლისის N79 განკარგულებაში ევლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 ივლისის N79 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს საპრივატიზებოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონება, კერძოდ:

ა) ქ. ლანჩხუთში, ს. მგელაძის ქ. N16-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N1-2598,36 კვ.მ; N2 767,33 კვ.მ; N3-50,63 კვ.მ. (დემონტაჟისა და ტერიტორიის დასუფთავების პირობით; საკადასტრო კოდი 27.06.48.013)

ბ) ქ. ლანჩხუთში, ს. მგელაძის ქ. N16-ში მდებარე 52456 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 27.06.48.013);

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმალელის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ღრმალელში მდებარე შენობა-ნაგებობა 508,36 კვ.მ. და მასზე მიმაგრებული 1576 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 27.16.45.015).“

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 წაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ხელაძე